XXI საუკუნის არესი

თამარ ცაგარელი

საკვანძო სიტყვები: *ომი, პოლიტიკა, სოციუმი, დრამატურგია, ფსიქოლოგიური სპექტაკლი*

დღეს, XXI საუკუნეში ომის მრისხანე ღმერთი - არესი (Arēs) მძვინვარებს მსოფლიო რუკაზე აღნიშნულ გარკვეულ ტერიტორიებზე და საზოგადოება, რეალურად თუ გარდასახვით, სახელოვნებო სივრცეში, განიცდის მის შედეგებს: როგორც ფიზიკურ, ასევე მორალურ გარდაცვალებას. როგორც ცნობილია, ომისა და სიკვდილის თემა, ისტორიულად, არა ერთი ლიტერატორისა თუ ხელოვანის ინტერესის საგანი ყოფილა. პიროვნების „კარდიოგრამული ნიღაბი" შექმნა პოლონელმა რეჟისორმა ინგმარ ვილკვისტმა (ნამდვილი სახელი და გვარი იაროსლავ შვერშჩი (Jarosław Świerszcz), რომელიც თავისი შემოქმედებით თანამედროვე პოლონური თეატრის ერთ-ერთი გამორჩეული, მნიშვნელოვანი ფიგურაა. ვილკვისტის პიესები ხშირად იდგმება არა მარტო პოლონეთში, არამედ ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყანაში. არც ქართველი რეჟისორები დარჩენილან გულგრილად ამ დრამატურგის შემოქმედებით. თბილისში, გრიბოედოვის თეატრის სცენაზე რეჟისორი გიორგი მარგველაშვილი აცოცხლებს ვილკვისტის დრამას „ჰელვერის ღამე" და მაყურებელს წარმოუდგენს ინტელექტუალურ სპექტაკლს, ფსიქო-დრამატულ, ფსიქო-სოციალურ ჭრილში აგებულს. მიუხედავად იმისა, რომ ამბავი XX საუკუნის 30-იანი წლების ევროპაში, კონკრეტულად კი, პოლონეთში ვითარდება, ჩვენთვის, მაყურებლებისთვის, ეს ორი პერსონაჟი და გარე სამყაროს შორის არსებული დაძაბული დამოკიდებულება, ურთიერთობა, ნაცნობია და მტკივნეული. მიზანი მიღწეულია, როგორც დრამატურგის, თუნდაც ამ ერთი პიესით, ასევე, რეჟისორ გიორგი მარგველაშვილის სპექტაკლით „ჰელვერის ღამე".

ველი ბერძნული მითოლოგიიდან ყველასთვის ცნობილი არესი (Arēs), ომის მრისხანე ღმერთი, ზევსისა და ჰერას ძე, რომელიც, უპირისპირდება ათენა ქალღმერთს – სამართლიანი ომის მფარველს. არესი, როგორც ცნობილია, თავდაპირველად (ჰომეროსის ხანამდე) ქთონური ბუნების (ქვესკნელის) ღვთაება იყო, როგორც კეთილდღეობის, ისე სიკვდილის მომტანი, შემდგომში კი – მხოლოდ სიკვდილისა და უბედურებისა.

დღეს, XXI საუკუნეში ომის მრისხანე ღმერთი მძვინვარებს მსოფლიო რუკაზე აღნიშნულ გარკვეულ ტერიტორიებზე და საზოგადოება, რეალურად თუ გარდასახვით, სახელოვნებო სივრცეში, განიცდის მის შედეგებს: როგორც ფიზიკურ, ასევე მორალურ გარდაცვალებას. როგორც ცნობილია, ომისა და სიკვდილის თემა, ისტორიულად, არა ერთი ლიტერატორისა თუ ხელოვანის ინტერესის საგანი ყოფილა, სადაც ნათლად წარმოჩინდება ადამიანის უსუსურობა, უსუსურობის შედეგად გამოწვეული ფსიქო-ფიზიკური აშლილობა თუ სიკვდილის აქტამდე და მის განხორციელებამდე მისვლა. სწორედ, პიროვნების „კარდიოგრამული ნიღაბი" შექმნა პოლონელმა რეჟისორმა ინგმარ ვილკვისტმა (ნამდვილი სახელი და გვარი იაროსლავ შვერშჩი (Jarosław Świerszcz), რომელიც თავისი შემოქმედებით თანამედროვე პოლონური თეატრის ერთ-ერთი გამორჩეული, მნიშვნელოვანი ფიგურაა. ვილკვისტის პიესები ხშირად იდგმება არა მარტო პოლონეთში, არამედ ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყანაში. არც ქართველი რეჟისორები დარჩენილან გულგრილად ამ დრამატურგის შემოქმედების მიმართ და დღეს, როცა რეალურად გაგვახსენა საკუთარი ძალა ომის მრისხანე ღმერთმა არესმა, რომელმაც უკრაინაში „დაიდო დროებითი თავშესაფარი", თბილისში, გრიბოედოვის თეატრის სცენაზე რეჟისორი გიორგი მარგველაშვილი აცოცხლებს ვილკვისტის დრამას „ჰელვერის ღამე" და მაყურებელს წარმოუდგენს ინტელექტუალურ სპექტაკლს, ფსიქო-დრამატულ, ფსიქო-სოციალურ ჭრილში აგებულს. მიუხედავად იმისა, რომ ამბავი XX საუკუნის 30-იანი წლების ევროპაში, კონკრეტულად კი, პოლონეთში ვითარდება, ჩვენთვის, მაყურებლებისთვის, ამ ორ პერსონაჟსა და გარე სამყაროს შო-

რის არსებული დაძაბული დამოკიდებულება, ურთიერთობა, ნაცნობია და მტკივნეული. მიზანი მიღწეულია, როგორც დრამატურგის, თუნდაც ამ ერთი პიესით, ასევე, რეჟისორ გიორგი მარგველაშვილის სპექტაკლით „ჰელვერის ღამე". ამის მიზეზი კი, რეალური ცხოვრებისეული მოქმედებაა, რომელსაც თავისი სპეციფიკურობა ახასიათებს. იგი წარმოიშვება, როგორც პიროვნების, გმირის, ნების გამოხატვის შედეგი და თავის განხორციელების გზაზე მას წინ არაერთი დაბრკოლება ხვდება: სხვა გმირების საპასუხო მოქმედება იწვევს კონფლიქტურ დაპირისპირებას და ბრძოლას, რომლის გარეშე როგორც დრამის, ასევე სპექტაკლის არსებობა შეუძლებელია. ვლინდება კონფლიქტი, რადგან კონფლიქტებით სავსე სიტუაციები და ხასიათები ქმნიან დრამის, როგორც ჟანრის ნიადაგს, განსაზღვრავენ მისი არსის მთელ ზნეობრივ მნიშვნელობას.

„ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან მიიჩნეოდა, რომ ადამიანის არსი მის სოციალურობაში მდგომარეობს. არისტოტელემ ადამიანი განსაზღვრა როგორც „საზოგადოებრივი ცხოველი", რომლის, როგორც სოციუმის მთავარი გმირის საზოგადოებრივ ბუნებასა და აქტივობას მეცნიერულად სწავლობს ფსიქოლოგიის დარგი – „სოციალური ფსიქოლოგია", რომლის დაკვირვების საგანი ადამიანია და რომელიც ცდილობს ახსნას, თუ როგორ ახდენს საზოგადოება გავლენას ინდივიდის კოგნიციაზე, მოტივაციაზე, განვითარებასა და ქცევაზე, და თავის მხრივ, საზოგადოება როგორ განიცდის ინდივიდის ზეგავლენას".[1]

სწორედ ამიტომაც, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ, კვლევის საგნად – ადამიანი, ფსიქოლოგიის პარალელურად, დრამატურგიამ და, შესაბამისად, სათეატრო ხელოვნებამაც აღიარა. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, სათეატრო ხელოვნება ქმნის ფსიქოლოგიურ დრამას (იბსენი, ჩეხოვი, გორკი, შო და ა.შ.), რომელმაც, თავის მხრივ, ჩამოაყალიბა მისთვის საჭირო მხატვრული საზღვრები, როგორიცაა: ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, პიროვნების ფსიქოლოგია, განწყობის თეორიასთან ერთად, და ემოციურ/სოციალური ფსიქოლოგია. არსებული თემებიდან გამომდინარე, სათეატრო ხელოვნება აყალიბებს მისთვის მისაღებ სასცენო სპეციფიკასაც. და ეს სპეციფიკა, ძირითადად, მის კამერულობაში, ნატურალიზმსა და აკადემიურობაში იკვეთება.

ვფიქრობ, დღეს, XXI საუკუნეში, როდესაც სამყაროში, პიროვნების გრძნობათა ბუნების დევალვაცია აშკარაა, რის გამოც, ადამიანი ცდილობს მოექცეს საკუთარ „ნაჭუჭში", რათა არ გახდეს მისი ფიზიკური თუ ფსიქიკური მდგომარეობა გარე სამყაროსგან, საზოგადოების გარკვეული ნაწილისგან დაცინვის საგანი ან ხელყოფილი. მნიშვნელოვანია, სათეატრო ხელოვნების წარმომადგენელთა მხრიდან ამგვარ თემებზე აქცენტის გაკეთება. სწორედ, პიროვნების ღრმა, სულიერი წინააღმდეგობები, ადამიანური სიმდაბლე და, ამავდროულად, ურთიერთობების „ფაქიზი ლირიკა" გათამაშდა გრიბოედოვის სახელობის თბილისის რუსული დრამატული თეატრის სცენაზე, სადაც, კამერულ გარემოში, ჩაკეტილ, რუხი ტონალობის, ცისფრიდან ლურჯში გარდამავალი განათების სივრცეში, რომელიც სიცივის შეგრძნებას გიტოვებს, მიუხედავად წვრილბურჟუაზიული, სლავურ-პოლონური სცენოგრაფიისა (მხატვარი: შოთა ბაგალიშვილი), საიდანაც მკვეთრად იგრძნობა ტრადიცია და ეროვნულობა, რეჟისორმა გიორგი (გოგი) მარგველაშვილმა პოლონელი დრამატურგის, ინგმარ ვილკვისტის პიესა – „ჰელვერის ღამე" გააცოცხლა და მაყურებელს წარმოუდგინა ფსიქო-დრამატულ, ფსიქო-სოციალურ ჭრილში აგებული ინტელექტუალური სპექტაკლი.

„ოთხი მწვანე, ოთხი წითელი, ოთხი თეთრი... დალიე?!"... „კიდევ გადაყლაპე, კიდევ რამდენიმე თეთრი, შემდეგ წითელი და მწვანე"... „დღეს ბევრი დავლიე ამ აბებიდან... მაგრამ შენ ყოველთვის ამბობდი... ყოველთვის ამბობდი: მხოლოდ ორი დავლიო, მხოლოდ ორი"... „ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი აბი... ხედავ? ... ესენიც?" „სულ დალიე..." „ჰელვერ, ჩემო ძვირფასო, საყვარელო"... ბიჭი აღარ სუნთქავს, ქალის მკერდზე მიდებული, მშვიდი სახით ემშვიდობება ამქვეყნიურ „სიგიჟეებს"... ქალმა ბიჭი გააფთრებული საზოგადოებისგან იხსნა! ქუჩიდან ბრბოს ყვირილი, ქვების სროლისა და მინების მსხვრევის ხმა, ყიჟინა, გერმანული სამხედრო მარშის მუსიკა... გავეშებული ქალის სახე, მატარებლის ხმა, რომელიც ქალის გულის ფეთქვის იდენტურია. არა, ქალის გულის ცემაა,

1 https://ustudy.abituri.ge/socaluri-fsiqologia/fsiqologia-konformuloba-da-sazogadoeba

თუ მატარებლის ხმაა?! იძაბები, ცდილობ „პულსაცია გაზომო“, არ გამოგდის... შეუძლებელია... თითქოს, როგორც მაყურებელი, თანამონაწილეც კი ხდები, სცენაზე ზიხარ, შენ გვერდით, შენ წინ მას, ქალსა და ახალგაზრდა ბიჭს გაეცანი, მათი თანაცხოვრების ნაწილად იქეცი, მათი სუნთქვა და ემოცია შენსას შეერწყა, ის „გზა გაიარე“, რაც ჰელვერმა და კარლამ... კარლამ და ჰელვერმა... ცნობილი ებრაული, შალომ ალეიხემისა და კლეზმერისეული ჯგუფის (რომელიც, ჰოლოკოსტის, ისევე როგორც, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გერმანიის ნაცისტური ხელისუფლების და მისი მოკავშირეების მიერ განხორციელებული ებრაელების, ასევე ბოშების, ჰომოსექსუალების და სხვა უმცირესობების მასობრივი გენოციდის მსხვერპლი გახდა) ტრადიციული მელოდიით (მუსიკალური გაფორმება რეჟისორ გოგი მარგველაშვილისა), რომელიც სპექტაკლის სიმბოლო-მეტაფორაა, ტრაგიკული ღამის თვითმხილველნი ვხდებით.

კარლა – სამყაროში უპატიებელი ცოდვით მოსიარულე. განუვითარებელი და მახინჯი შვილის მიმტოვებელი, ქმრისგან უარყოფილი და ჭკუასუსტი ბიჭის დედობილი, შემდგომში მისი მკვლელი. ცხოვრების ტვირთისგან ოდნავ წელში მოხრილი, ტრაგიკული გამომეტყველებით, რომლის გულისცემა სცენაზე მსხდომ მაყურებელს ესმის, გრძნობს და განიცდის – ეს, მსახიობ ირინა მეღვინეთუხუცესის პერსონაჟია. მისი ემოცია ნიაღვარივით გადმოედინება სცენაზე, გაფორიაქებს, გთრგუნავს... თითქოს პატიობ კიდეც ჩვილის კლინიკის კართან მიტოვებას... პატიობ?! არა, ისიც ხომ იმ საზოგადოების ნაწილს ემსგავსება, XX საუკუნის ოცდაათიანი წლების ომამდელი ევროპული ქვეყნის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც ნაციზმს აღიარებდნენ და გავრცელებული იდეოლოგიის – განსხვავებული, გამოუსადეგარი ადამიანების, ჯანსაღი საზოგადოებისგან მოშორების – მიმდევრები გახლდნენ. ცოდვა გამოისყიდა? ჭკუასუსტი ბიჭი შეიფარა და უპატრონა?! ისიც სიცოცხლეს გამოასალმა, რითაც, თითქოსდა ააცილა იმ ტკივილსა და ტანჯვას, რასაც გარეთ მიაყენებდნენ... მიყვები ირინა მეღვინეთუხუცესის მიერ კარდიოგრამულად განვითარებულ ემოციას, მსახიობის გარდასახვითი გრძნობათა ბუნებით გადიხარ ამ მცირე დროში, ერთ ღამეში, მის განვლილ თუ ამჟამინდელ ცხოვრებას და გრძნობ, რომ მოგნუსხა არტისტმა, მისი თამაშის წესებით, შენც, როგორც მაყურებელი, არა, არა როგორც მაყურებელი, უკვე ამ ამბის თანამონაწილე ხდები და, ყველაფერს პატიობ, მაინც პატიობ, რადგან, იმ სასტიკი საზოგადოებისა და მოვლენების ფონზე, რასთანაც და ვისთანაც მას უწევს შეხება, მას სხვა გზა არ ჰქონდა... რა ექნა?! ღამეებს ათევდა, ფიზიკურად მახინჯი, მაიმუნის მსგავსი ჩვილით ხელში, რომელიც არასდროს არ იძინებდა, გამუდმებით წუხდა და ტიროდა, რომლის დანახვა მის მეუღლეს არ სურდა, არა თუ არ სურდა, სიძულვილსა და ზიზღს გამოხატავდა და, ეს გრძნობა ერთ დროს მისთვის საყვარელ ქალზე იფრქვეოდა. ქმრის გულისათვის გადადგმული ნაბიჯი ბუმერანგივით უკან შემოუბრუნდა კარლას. საყვარელმა კაცმა სახლიდან გააგდო, სიყვარული ფერფლად ექცა ქალს... არადა, როგორ უყვარდა... შემდეგ, ჰელვერი, ეს ჭკუასუსტი ბიჭი, საცოდავად სკამზე მჯდარი იპოვა და, თითქოსდა მყუდრო გარემო შეუქმნა, მოაცილა დაუნდობელ გარე სამყაროს. თუმცა, ისიც ვერ დაიცვა და საკუთარი ხელით იმ ქვეყნად გაისტუმრა.

ჰელვერი – ჭკუასუსტი, თითქმის ოცდაათ წელს მიღწეული, მაგრამ, ბავშვის ფსიქოლოგიით, სათამაშო ჯარისკაცებით მოთამაშე, მეოცნებე, რომ მას აუცილებლად ჯარში წაიყვანენ, სამხედრო ფეხსაცმელებითა და ტანსაცმლით მოხიბლული – მსახიობ ბექა მეძმარიაშვილის პერსონაჟია, რომელიც სამყაროს ბავშვის თვალებით უყურებს. იგი იმ გამანადგურებელი სამყაროს მსხვერპლია, რომელიც ვერ ეგუება „სხვანაირ“ ადამიანს, ანადგურებს მისთვის მიუღებელი ერისა თუ სარწმუნოების, ფსიქიკური ნაკლის მქონეთ. არადა, ჰელვერს უყვარს ადამიანები, თანაგრძნობა და სიყვარული სწადია. მას გულწრფელად სჯერა გილბერტის, რომელმაც დროშაც კი აჩუქა. იმ გილბერტისა, რომლისთვისაც ჰელვერი ნაბიჭვარია, იმ გილბერტისა, დაუნდობლად რომ სპობს ყველას და ყველაფერს, რაც მისი და მისნაირების იდეოლოგიისთვის მიუღებელია. ბექა მეძმარიაშვილის პერსონაჟი ჭკუასუსტის ენერგიამოზღვავებულობას, გულუბრყვილობასა და მიმნდობლობას გამოხატავს. მას ადამიანების სითბო და ყურადღება სურს. მისი გაუცნობიერებელი სურვილი და ოცნება, ჯარისკაცი გამოვიდეს, იმდენად ძლიერია, რომ მოსვენებას უკარგავს. ნიაგარასავით აფრქვევს შინაგან ძალას და

„იპყრობს“ კარლასაც და მაყურებელსაც. მას უყვარს თავისი დედობილი, უყვარს ქალის აწ უკვე გარდაცვლილი ჩვილი, ცოცხალთან ითამაშებდა კიდეც. მან იცის ლოცვანიც, რომელიც კარლამ ასწავლა, უყვარს მასთან ერთად ლოცვა და უყვარს, როცა კარლა XX საუკუნის 30-იან წლებში პოპულარულ, ძველ პოლონურ ტანგოს ცეკვავს. მელოდია, რომელიც გვესმის, ზუსტად გადმოსცემს იმ ემოციას და ხასიათს, რასაც განიცდის მაყურებელი პერსონაჟებთან ერთად. ტანგო სიყვარულზე, რომელსაც გამანადგურებელი ძალა აქვს. რა ხდება მაშინ, როცა ეს გრძნობა კარგავს თავის კლასიკურ მნიშვნელობას და ადამიანისთვის დამანგრევლად გადაიქცევა?! რჩება გავეშებული სამყარო და დაუნდობელი საზოგადოება!

გამოყენებული ლიტერატურა:

- გერეგი რ., ზიმბარდო ფ., „სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბ., 2009.
- https://ustudy.abituri.ge/socaluri-fsiqologia/fsiqologia-konformuloba-da-sazogadoeba
- Zinn Jeff, Theatre and Psychology: A Symbiotic Relationship, San Francisco, 2018.

ARES OF THE 21ST CENTURY

Tamar Tsagareli

Keywords: *War, Politics, Society, Dramaturgy, Psychological play.*

Today, in the 21st century, the raging God of War is raging in certain areas on the world map, and society, in reality or in the art world, is experiencing its consequences: both physical and moral death.
As is well known, the theme of war and death has historically been the subject of interest of writers or artists, where human weakness is clearly manifested, and the psycho-physical disorder caused by weakness or the act of death and its execution. The "cardiogram" of personality was created by Polish director Ingmar Villqist (real name Jarosław Świerszcz), who is one of the most prominent and important figures in modern Polish theatre. His plays are often staged not only in Poland but also in different countries of Europe and America. Neither Georgian directors remained indifferent to the work of this playwright and, today, when Ares, the god of wrath, who "provided temporary asylum" in Ukraine, actually reminded us of his own power, on the stage of Griboedov Theatre in Tbilisi, stage director Giorgi Margvelashvili is staging a play of Villqist's drama "Helver's Night" and presents an intellectual play based on a psycho-dramatic, psycho-social context.
Although the story takes place in Europe in the 1930s, specifically in Poland, for us, the viewers, these two characters and the tense relationship between the outside world is familiar and painful. The goal has been achieved as with the playwright, even with this one drama, as well as with the play "Helver's Night" by director Giorgi Margvelashvili. The reason for this is real life action, which is characterized by its specificity. It arises as a result of the expression of a person, a hero, a will, and on the way to its realization he faces a number of obstacles: the retaliatory actions of the other characters lead to conflicting confrontations and struggles, without which the existence of both drama and performance is impossible. Conflict is revealed because conflict-filled situations and characters form the basis of drama as a genre, defining the entire moral significance of its essence.

As we known from ancient Greek mythology, Ares (Arēs) is the Greek god of courage and war. He is one of the twelve Olympians, and the son of Zeus and Hera. Greeks were ambivalent toward him. He embodies the physical valor necessary for success in war but can also personify sheer brutality and bloodlust, in contrast to his sister, the armored Athena, whose martial functions include military strategy and generalship. An association with Ares endows places, objects, and other deities with a savage, dangerous, or militarized quality.

Today, in the 21st century, the furious God of War is raging in certain areas on the world, and society, in reality or in the art world, is experiencing its consequences, both physical and moral death.

It is common knowledge that the theme of war and death has historically been the subject of interest of writers or artists, where human weakness is clearly manifested, and the psycho-physical disorder caused by weakness or the act of death and its execution. The "cardiogram" of personality was created by Polish director Ingmar Villqist (real name Jarosław Świerszcz), one of the most prominent and important figures in modern Polish theatre. His plays are often staged not only in Poland but also in different countries of Europe and America. Nor did Georgian directors remain indifferent to the work of this playwright and, today, when Ares, the god of wrath, who "provided temporary asylum" in Ukraine, actually reminded us about his own power, on the stage of Griboedov Theatre in Tbilisi, stage director Giorgi Margvelashvili is staging a play of Villqist's drama Helver's Night and presents an intellectual play based on psycho-dramatic, psycho-social context.

Although the story takes place in Europe in the 1930s, specifically in Poland, for us viewers these two characters and the tense relationship with the outside world is familiar and painful. The goal is achieved by both the

playwright, even with this one drama, and by director Giorgi Margvelashvili staging the play Helver's Night. The reason for this is real life action, which is characterized by its specificity. It arises as a result of the expression of a person, a hero, a will, and on the way to its realization he faces a number of obstacles: the retaliatory actions of the other characters lead to conflicting confrontations and struggles, without which the existence of both drama and performance is impossible. Conflict is revealed because conflict-filled situations and characters form the basis of drama as a genre, defining the entire moral significance of its essence.

"Since ancient times, it has been considered that the essence of man lies in sociality. Aristotle defined man as a social animal, whose social nature and activity as the main character of society is scientifically studied by the field of psychology called social psychology focusing on the human being and seeking to explain how society influences an individual's cognition, motivation, development and behavior, and in turn, how society is influenced by the individual."[1] That is why it is worth noting that dramaturgy and, therefore, theatre art recognize the human being as the subject of research, in parallel with psychology. As it is known, even in the 19th century, the theatre art created psychological drama (Ibsen, Chekhov, Gorky, Shaw, etc.), which, in turn, established the artistic boundaries necessary for human beings, such as experimental psychology, personality psychology combined with mood theory and emotional/social psychology. Based on existing themes, theatre art forms stage specifics acceptable for it. And this specificity is mainly reflected in its chamberings, naturalism and academicism. I think that today, in the 21st century, when the devaluation of the nature of human feelings is obvious across the world, people are trying to lock themselves in a "shell", so that their physical or mental condition does not become an object of ridicule or abuse from the outside world, from a certain part of society. It is important for representatives of theatre to emphasize such topics. It was the deep, spiritual contradictions of the personality, human lowliness and, at the same time, the "sensitive lyrics" of relationships that were played out on the stage of Tbilisi Griboyedov Russian Drama Theatre, where, in a chamber environment, stage director Giorgi (Gogi) Margvelashvili brought to life the play of Polish playwright Ingmar Villqist's *Helver's Night* and presented to the audience an intellectual play built in a psycho-dramatic, psycho-social perspective.

Giorgi Margvelashvili's *Helver's Night* is a thrilling, gut-wrenching play that charts the relationship between Carla and her young charge, Helver. Helver is fascinated by fascism, not by the ideology, which he is unable to grasp, but by the bravura of the movement. As a violent occupying army rampages through his town, will Helver become a victim of this fascination? In his plays stage director Margvelashvili produces laboratory specimens which he asks his audiences to scrutinize. He extracts emotions and makes them as palpable as the veins and arteries around the heart observed post-mortem when the skin is cut and carefully removed.

Helver's Night centers around two characters: Helver (actor Beqa Medzmariashvili), a young man obsessed with the hype and glory of the fascist movement, and his adoptive mother Carla (actress Irina Megvinetukhutsesi). The action takes place in Carla's crumbling house when Helver comes back from a raucous fascist parade getting out of hand. He excitedly demands to teach Carla the ways he has been taught during the movement, often resorting to violence and iron will to bend her to his bidding. As Helver gradually calms down—and the action outside heats up—we learn more about the backstory of these two characters whose lives we seem to have walked in on. We learn that Helver was adopted by Carla after her marriage failed when she gave up her daughter, and it is clear how these previous events have shaped their lives. Sadly, just when we start to empathize with them, the fascist storm outside rages on, and it is not long before we are separated from these rich characters, making everything all the more poignant.

So, *Helver's Night* tackles some dark themes and contains some sinister images. But this is what makes it such an interesting play, and it is the way that it is produced and written that sparks this intrigue. You want to know more about the characters, and about what is going on in the outside world, but before you can accomplish these quests for knowledge, the play quickly halts them and leaves you wanting more.

1 https://ustudy.abituri.ge/socaluri-fsiqologia/fsiqologia-konformuloba-da-sazogadoeba

Irina Megvinetukhutsesi and Beqa Medzmariashvili are stunning as the two characters that bring this neat and tidy little play to life. They are a formidable team who carry the play's themes and drive its plot, along with your intrigue in their back stories and true desires. They shed light on dark concepts and ideas that have not been forgotten since the day they emerged in the First or Second World War, and make them fresh and relevant in the world we live in today.

The tidiness of the play is also down to its set, which does not hinder it or distract you from the characters. Instead, it causes you to focus on them and Villqist's dialogue, which richly conveys the emotional mindsets of the characters. The light slices through the thick smoke that gradually fills the studio stage in which this tiny play sits, and dark crimson fires dance on the house's windows as tumultuous banging and clattering threateningly brings you to your senses.

Everything is nearly tied together in this production, and I am pleased to report that *Helver's Night* balances everything just about right. It does not try to be too clever, nor is it mind-numbingly bland—it is just right. It's a satisfying, well-crafted play, and it deserves attention and intrigue.

I find myself part of another world: a shabby kitchen where Carla patiently awaits the return of her vulnerable, mentally disabled ward, Helver, from Fascist riots. Helver is not yet a victim of the violence, but a partaker, and as he commandingly teaches Carla the ways of his new-found 'friends', she begins to question her reasons for adopting Helver, and is forced to assess their future and past together.

The play explores how the political inevitably contaminates the personal, as Helver's condition only becomes a pressing issue when coupled with the prospect of an imminent Fascist backlash. This therefore makes for an extremely tense, fast-paced production, which at times had me wincing with anticipation.

The use of backstage runners banging on doors and screaming to create the sensation of rioters outside the flat was incredibly effective, building on the play's tense and charged atmosphere. Small directional and design touches like paintings falling down, Carla frantically putting on and taking off her coat, and being covered with dust from a "bomb" that hit, gave color to what could have been a very clinical play.

Helver's Night is a painful play that explores attitudes to mental illness in the personal and political world, which left me welling up due to the moving cast performances and water-tight quality of Villqist's script.

REFERENCES:

- გერეგი რ., ზიმბარდო ფ., „სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბ., 2009.
- https://ustudy.abituri.ge/socaluri-fsiqologia/fsiqologia-konformuloba-da-sazogadoeba
- Zinn Jeff, Theatre and Psychology: A Symbiotic Relationship, San Francisco, 2018.